პროექტი

დადგენილება

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ჯილდოს გაცემის თანდართული წესი (დანართი).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დანართი

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი

თანხიდან ჯილდოს გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი არეგულირებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან წარმატებული ახალგაზრდებისა (მოსწავლე, აბიტურიენტი, სტუდენტი) და პედაგოგების დაჯილდოების წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ჯილდო –ფულადი ჯილდო;

ბ) წარმატებული მოსწავლე:

ბ.ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულებისა და ხელოვნების სკოლის მოსწავლე, რომელმაც დაიკავა I, II, III საპრიზო ადგილი საქართველოსა და საერთაშორისო კონკურსებში ან გამოცხადდა გამარჯვებულად;

ბ.ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლის ოქროსმედალოსანი მოსწავლე;

ბ.გ) საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლის მოსწავლე;

გ) წარმატებული აბიტურიენტი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლის კურსდამთავრებული და რეგისტრირებული აბიტურიენტი, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რის შემდეგაც ჩაირიცხა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში და მიიღო 100%-იანი საგრანტო დაფინანსება.

მუხლი 3. წარმატებული მოსწავლის/ახალგაზრდის და პედაგოგის დაჯილდოება

1. წარმატებული მოსწავლის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების I ადგილი – 500 (ხუთასი) ლარი; II ადგილი – 300 (სამასი) ლარი, III ადგილი – 200 (ორასი);

ბ) საქართველოს ფესტივალებისა და კონკურსების I ადგილი – 300 (სამასი) ლარი; II ადგილი – 200 (ორასი) ლარი; III ადგილი – 100 (ასი) ლარი;

დ)წარმატებული მოსწავლის/ახალგაზრდის პედაგოგის ფულადი ჯილდოს ოდენობა ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვროს მოსწავლეზე/ახალგაზრდაზე გასაცემი თანხის 50% -ით.

2. წარმატებულმა მოსწავლემ ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი საპრიზო ადგილის დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ანგარიშის ნომრის ამონაწერი საბანკო დაწესებულებიდან;

3. წარმატებულმა მოსწავლის/ახალგაზრდის პედაგოგმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი (ცნობა რეგისტრაციის ადგილის შესახებ);

გ) ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან

დ) წარმატებული ახალგაზრდის შესაბამისი საპრიზო ადგილის დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ანგარიშის ნომრის ამონაწერი საბანკო დაწესებულებიდან

მუხლი 4. საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილის დაჯილდოება

1. საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილის ფულადი ჯილდო განისაზღვრება 700 ლარის ოდენობით.

2. საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილემ/კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილის/კანონიერი წარმომადგენლის ანგარიშის ნომრის ამონაწერი საბანკო დაწესებულებიდან.

მუხლი 5. ოქროსმედალოსანი სკოლის მოსწავლეების დაჯილდოება

1. ოქროსმედალოსანი სკოლის მოსწავლეების ფულადი ჯილდო განისაზღვრება 500 (ხუთსი) ლარის ოდენობით.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლების დირექციამ მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) ოქროსმედალოსანი სკოლის მოსწავლეების სია;

გ) სკოლის მოსწავლეთა ან კანონიერი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სკოლის მოსწავლეთა ან კანონიერი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანგარიშის ნომრის ამონაწერი საბანკო დაწესებულებიდან;

მუხლი 6. წარმატებული აბიტურიენტის დაჯილდოება

1.წარმატებული აბიტურიენტის ფულადი ჯილდო განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

2.წარმატებული აბიტურიენტმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა მოპოვებული საგრანტო დაფინანსების შესახებ;

დ) უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე) ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ;

ვ) საკუთარი ანგარიშის ნომრის ამონაწერი საბანკო დაწესებულებიდან.

მუხლი 7. ჯილდოს გაცემის წესი

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით ჯილდოს გაცემის საკითხს განიხილავს გამგეობის შესაბამისი სამსახური, და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ჯილდოს გაცემის შესახებ.

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეუსაბამობის აღმოჩენისას, ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს განმცხადებელს და მისცეს გონივრული ვადა აღმოჩენილი ხარვეზის აღმოფხვრისათვის და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის.

3. ამ წესით განსაზღვრული ფულადი ჯილდოს გაცემა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გათვალისწინებით.